# ჩოხატაურის  მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მინიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალიწრინებით 2017 -2021 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის განვითარება;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები;
- სკოლამდელი განათლების დაფინანსება;
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2017-2021 წლებში

| დასახელება | 2017წლის გეგმა | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები | 6107,6 | 6810,0 | 6913,9 | 7000,0 | 7144,2 |
| შემოსავლები | 6057,6 | 6810,0 | 6913,9 | 7000,0 | 7144,2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 50,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| გადასახადები | 1100,0 | 1150,0 | 1190,0 | 1210,0 | 1240,0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 460,0 | 470.0 | 490.0 | 490.0 | 490.0 |
| ქონების გადასახადი | 650,0 | 680,0 | 700,0 | 720,0 | 750,0 |
| სხვა შემოსავლები | 2307,2 | 2310,0 | 2320,0 | 2340,0 | 2350,0 |
| გრანტები | 2640,4 | 3350.0 | 3403.3 | 3450,0 | 3554,2 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 2640,0 | 3350.0 | 3403.3 | 3450,0 | 3554,2 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 2457,4 | 3150.0 | 3203.3 | 3250,0 | 3354,2 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 183,0 | 200.0 | 200.0 | 200,0 | 200,0 |
| | 50,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

*მუნიციპალიტეტის გადასახდელები ძირითადი კატეგორიების მიხედვით*

| org. kodi | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 20120 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 2140.3 | 2150,0 | 2180,0 | 2190,0 | 2195,0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 121,8 | 150,0 | 150,0 | 150,0 | 150,0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 688,3 | 1240,0 | 1253,0 | 1250,0 | 1354,0 |
| 04 00 | განათლება | 1165,2 | 1140,0 | 1150,0 | 1200,0 | 1220,0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1375,0 | 1450,0 | 1480,0 | 1490,0 | 1500,0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 657,0 | 680,0 | 700,0 | 720,0 | 725,0 |

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები

### 1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ჭარბი თოვლის საფარისაგან განთავისუფლება. განხორციელდება დაბაში საგზაო მოძრაობის ნიშნების მოწესრიგება. გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფაკტო ბეტონის მოწყობის სამუშაოები.

| org. kodi | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | 50,0 | 800,0 | 850,0 | 880,0 | 900,0 |

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- მოსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისათვის ხელსაყრელი სატრანსპორტო მიმოსვლა;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა.
- რეაბილიტირებული გზები;

2. **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია(პროგრამული კოდი 03 02)**

| org. kodi | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 530,0 | 530,0 | 560,0 | 575,0 | 600,0 |
| 03 02 01 | კომუნალური სამსახურის „სხივი“ | 453,0 | 450,0 | 470,0 | 480,0 | 500,0 |
| | ა(ა)იპ კურორტი ბახმარო | 77,0 | 80,0 | 90,0 | 95,0 | 100,0 |

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა შენახვა, დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება. მოხდება სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, კომუნალური სამსახური ,,სხივი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას.

არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, დაბის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ხეების გადაბელვა–ფორმირება, ზეხმელი და ავარიული ხეების მონიშვნა, შემდგომში მოჭრა–დამუშავება და გატანა.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- განათებული მუნიციპალიტეტი;
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- ქუჩების განათების გაზრდილი მაჩვენებელი
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება;
- მუნიციპალიტეტის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა;

3. **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)**

| org. kodi | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 98,3 | 400,0 | 450,0 | 480,0 | 500,0 |

მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. განხორციელდება დაბის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სხვადასხვა სამუშაოები.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;
- მოვლილი,გამწვანებული სკვერები გა გაზონები;
- მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტი;
- მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო;

## 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

| org. kodi | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 04 01 | სკოლამდელი განათლების დაფინანსება | 1000,0 | 1000,0 | 1005,0 | 1059,8 | 1079,8 |
| 04 02 | განათლების სისტემის ხელშეწყობა | 20,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 | 25,0 |
| 04 03 | ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 | 100,0 |
| 0404 | საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების | 15,2 | 15,2 | 15,2 | 15,2 | 15,2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | პროგრამა | | | | | |

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა , ახალი ბაღების გახსნა.

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 710 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**მოსალოდნელი შუალედური შედეგები:**

- ზოგადი განათლებისათვის სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- დაწყებით კლასებში ბავშთა მაღალი აკადემიური მოსწრება;

**5. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

| org. kodi | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროექტი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 1375,0 | 1450,0 | 1480,0 | 1490,0 | 1500,0 |

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური

თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- სპორტის, კულტურის, თეატრის და მუსიკის სრულყოფილი დაწესებულებების არსებობა;
- ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის რაოდენობა;
- სპორტისა და კულტურის სფეროში ჩაბმულ ბავშთა რაოდენობა;

## 6. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

| org. kodi | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი | 2017 წლის პროგნოზი | 2018 წლის პროგნოზი | 2019 წლის პროგნოზი | 2020 წლის პროგნოზი | 2021 წლის პროგნ ზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 657,0 | 680,0 | 700,0 | 720,0 | 725,0 |

### სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული  თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველპირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდებაშემდეგი სოციალური პროგრამები:

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგული პირების, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის ხარჯი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი, უბედური  შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება;

ლტოლვილთა დახმარება;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის

დაღუპულთა  ოჯახების დახმარება;

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი. აქედან:

ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვები;

18 წელს ზევით ასაკის პირები რომელთა სარეიტინგო ქულა 65000 დან 200 000 -ის ჩათვლითაა,სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შ.შ.მ პირების სტაციონალური სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების შეძენა;

ონკოლოგიური დაავადებით დაავადებულთა სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენის და ოპერაციის შემდგომი გამოკვლევების ხარჯი;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულ ქვრივებისადმი სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების შეძენის ხარჯი;

0-დან 18-წლამდე ასაკის პირების სტაციონალურ სამედიცინო მომსახურების ხარჯი;

თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი დახმარება, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს;

ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18-წლამდე პირების დღის ცენტრი, კომუნალური და კვების პროდუქტების ხარჯი) თანადაფინანსება;

გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკი) დაავადებული 0-დან 18-წლამდე ასაკის პირთა ოჯახების დახმარება;

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ. პირების მედიკამენტების შეძენის ხარჯი;

ეპილეფსიით დაავადებული ბავშვების ოჯახების დახმარება;

ა(ა)იპ განათლების ცენტრი ,,პროგრესი"-ს თანადაფინანსება;

საქართველოს წითელი ჯვრის ჩოხატაურის ხანდაზმულთა დღის ცენტრის თანადაფინანსება;

ზღვის კურორტზე შ.შ.მ. პირთა დასვენებისათვის ფინანსური დახმარება;

დამქირავებლის სოციალური ფულადი დახმარება (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება);

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 207,6 ათასი ლარი. აქედან:

მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახების დახმარება;

ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება ;

დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება;

მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურება;

ხანდაზმულ პირთა დახმარება;

მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება;

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი მატერიალური მხარდაჭერა , სადღესასწაულოდ ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით ზამთრის სეზონისათვის სათბობის შეძენაზე დახმარება;

0-დან 18-წლამდე ასაკის შ.შ.მ პირების ოჯახების დახმარება (კომუნალური გადასახადი);

მაღალმთიან სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება;

ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის თანადაფინანსება;

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:**

- სოციალურად უზრუნველყოფილი მოსახლეობა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება
- უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანების სასიცოცხლოდ აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება;

**შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

- მოსახლეობის გაუმჯობესებული სოციალური მდგომარეობა;
- ჯანმრთელი მომავალითაობა;
- შემცირებული სოციალური რისკები;